წელიწადი მეოთხე.

ფასი ცალკე ნომრის 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი გზა

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ყოველ კვირეული პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანო.

რედაქცია

თბილისი, ელისაბედის ქ., 200

რედაქტორი იღებს კვირა-უქმეების გარდა ყოველ დღე ნაშუადღევის 5-7 ს.

დაწუნებული ხელნაწერები ავტორს უკან არ დაუბრუნდება, აგრეთვე ხელნაწერების შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ მართავს.

რედაქციის ტელ. 2-98

გამოდის ორშაბათობით.

კანტორა

დიაა ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე.

მიიღება განცხადებები სტრიქონი ღირს 50 კაპ.

რედაქცია სთხოვს ამხანაგებს მოგვაწოდონ ლიანდაგიდან მასალები და წერილები საჭირბოროტო კითხვებზე.

დაბეჭდილ წერილების ავტორებს მიეცემათ გასამრჯელო იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვენ გამოგზავნილ წერილზე ზედწარწერით.

№ 13 თბილისი, ორშაბათი, 31 მარტი 1919 წელი. № 13

ყველა რაიონების გამგეობას

კულტურა-განათლების კომისია თხოულობს პასუხს მოწერილობაზე 14 № ზედ ამა წლის 24-ს იანვარისა კლუბების, ლექციების და ბიბლიოთეკების შესახებ. თუ ვინიცობაა ამ განცხადების შემდეგ პასუხი ვერ მივიღეთ, იმ შემთხვევაში კულტურა-განათლების კომისია ხელმძღვანელობს მომავალ სამუშავო გეგმის შეყენებისათვის თავისი შეხედულობით და არ დაეყრდნობა ადგილობრივ ცნობებზედ.

ამ ზანაგებზ

თბილისის კვანძში დგება სცენის მოყვარეთა მუსიკის და მოამღერალთა გუნდები.

ჩაეწერეთ კულტურა-განათლების სექციებში.

სასურსათო საკითხი

წარსულ კონფერენციაზე დიდი კამათი გამოიწვია სასურსათო საკითხმა.

ბევრი უკმაყოფილება გამოითქვა ამ საქმის მეთაურებზე.

მაგრამ რომელი საქმე გაკეთებულა ისე, რომ იქ დეფექტები არ ყოფილიყო?

სასურსათო საქმე კი ისეთი რთულია, რომ ძნელია მისი მოგვარება და ისე მოწყობა, რომ ამ ორგანიზაციით ყველა კმაყოფილი იყოს.

სასურსათო ორგანიზაციას ყველა მშიერი თვალით შესცქერის, ყველა ელის მისგან სასმელ-საჭმელს.

ეს კი დღევანდელ მწვავე კრიზისის დროს მეტათ ძნელი და მოუხერხებელი საქმეა.

არც ერთს ორგანიზაციას არ შეუძლია მშიერი მუცლების გაძღომა დღევანდელ პირობებში.

და რახან ეს ასეა, მაშასადამე უკმაყოფილონიც უნდა იყვნენ.

არა თუ რკინის გზამ ვერ შესძლო დაეყენებია ეს ორგანიზაცია შესაფერ ნიადაგზე, არამედ უფრო დიდმა დაწესებულებებმაც წაიფორხილეს ამ საქმეში.

აიღეთ თუნდაც ცენტრალური სასურსათო საბჭო, სადაც ათას გვარ ბოროტ-მოქმედებებს ქონდა ადგილი და თვით ორგანიზაციაც მუდამ კოჭლობდა და კოჭლობს დღესაც. აიღეთ თვით თბილისის ქალაქის სასურსათო განყოფილება!..

გადავიხედოთ სხვა ქვეყნებისაკენ.

ყველგინ ერთი და იგივე სურათი, ერთი და იგივე ლაპარაკი:

— სასურსათო ორგანიზაცია არ ვარგაო.

ეს ასეც უნდა იყოს. სასურსათო ორგანიზაციები წარმოშვა სასურსათო კრიზისმა. და ამ სურსათის კრიზისის დროს ეს ორგანიზაციები, რასაკვირველია, ვერ შესძლებენ ყველას საკმაოთ დაკმაყოფილებას, ყველას გაძღომას. აქედან კი იბადება უკმაყოფილება, ისმის საყვედური.

რაც შეეხება გახშირებულ ბოროტ-მოქმედებებს ამ ორგანიზაციებში, ამას ძლიერი კავშირი აქვს თვით ამ ორგანიზაციების სპეციფიურ ხასიათთან.

მაშინ, როცა სპეკულიაციას დაპყრობილი აქვს მთელი მხარე, ძნელია ისეთი სანდო პირების გამოძებნა, რომლებიც შესძლებენ საქმის პატიოსნურათ გაძღოლას.

კიდევ ერთი გარემოება: დემოკრატიას მოეპოვება ბევრი კეთილ-სინდისიერი მუშაკი, მაგრამ ესენი არ არიან გაწვრთნილნი ვაჭრობის საქმეებში, არ აქვთ კომერციული უნარი. ხოლო თუ სხვა კლასებიდან მოვიწვევთ საკმაო მომზადებულ პირებს, ესენი თავიანთ ჯიბის საქმეს უფრო აკეთებენ ხშირათ, ვიდრე საზოგადოებრივ საქმეს.

თვით ჩვენ მიერ არჩეული პირებიც ხშირად ვერ იდგენ თავიანთ ადგილას და საკმაო იყო მათ ხელი მოეკიდნათ სურსათის საქმისათვის, რომ ჩაფლულიყვნენ იმ მორევში, სადაც არა ერთი და ორი ჩაიფლა და გაისვარა.

ერთი მხრით კრიზისი, საშინელი სიძვირე საქონლის, სპეკულიაცია; მეორე მხრით ჩვენი მოუმზადებლობა ამ საქმეში. აი ის მიზეზები, რომლებიც აფერხებენ სასურსათო ორგანიზაციების მუშაობას.

ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები უსაყვედურებდენ ცენტრალურ სასურსათო კომიტეტს, რომ ის არ აძლევდა მათ უფლებას ცალკე, დამოუკიდებლად შეეძინათ სურსათი თავისთვის.

მაგრამ ამ ამხანაგებს ავიწყდებათ ის, რომ ცალკე ორგანიზაციების მოუწყობლად გამოსვლა ბაზარზე სწევს ფასებს ზევით და ამგვარად ეს ორგანიზაციები იფლებიან სპეკულიაციის მორევში.

ჩვენში იყო გამოცხადებული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი. და დღეს ყველა ჩვენთაგანი აშკარად ხედავს თუ სადამდე მიგვიყვანა ჩვენ ამ თავისუფალმა ვაჭრობამ.

ჩვენ გვეგონა მეტოქეობა ბაზარზე დასწევდა ძირს საქონლის ფასებს.

ნამდვილად კი მეტოქეობას მეორე მხრით ქონდა ადგილი. ფასების დაწევაში კი არ მეტოქეობდენ, არამედ აწევაში, ერთმანეთს გლეჯდენ ხელიდან სპეკულიანტები საქონელს და დღეს საქმე იქამდე მივიდა, რომ 1 ვირვანქა პური ღირს 7 მან. 50 კაპ. და უფრო ძვირათაც, შარშან კი ამ დროს გაცილებით უფრო იაფი იყო პური.

ერთი-ორი თვის შემდეგ კი შეიძლება 20 მანეთამდეც ავიდეს 1 ვირვანქა პურის ფასი.

აი სადამდე მიგვიყვანა ორგანიზაციულად მოუწყობელმა თავისუფალმა ვაჭრობამ.

რომ ეს საქმე ორგანიზაციულად მოწყობილი ყოფილიყო, რესპუბლიკაში შექმნილიყო ერთი საქონლის შემსყიდავი ცენტრი და შეთანხმებულად გამოსულიყვენ ბაზარზე ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც თითქმის დღემდე ცალ-ცალკე მოქმედებდენ და უწევდენ ფასებს, აგრეთვე რომ ერთგვარი სისტემა ყოფილიყო შეტანილი ამ პურეულობის შესყიდვის და გატანის საქმეში, მაშინ არ შეიქმნებოდა ასეთი მწარემდგომარეობა და ეს სასურსათო კრიზისი არ მოგვადგებოდა კარზე.

განა საქართველოს რესპუბლიკაში ცოტა მოვიდა-მოსავალი? და განა ჩვენ დღეს ამ ყოფაში უნდა ვიყოთ?

მაგრამ აი სწორედ ჩვენმა უთავბოლობამ და უსისტემობამ დაგვდუპა ჩვენ, აგვირია გზა და კიდეც გვატყდება თავზე სასურსათო კატასტროფა.

ჩვენ ერთმანეთს ვებრძვით ამ საქმეში, ვუსაყვედურებთ საქმის მოუწესრიგებლობას და სხვა...

მაგრამ დამნაშავენი ამ საქმეში ივანე და პეტრე კი არაა, არამედ დამნაშავეა თვით გარემოება, საერთო ეკონომიური მდგომარეობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს ორგანიზაცია ახალია, ხოლო ჩვენში კი ცოტანია ამ საქმის მცოდნენი და გამძღოლნი და აგრეთვე პატიოსნებით აღჭურვილნი.

კერძოთ რკინის გზაზე არ შეიძლება ითქვას ყველაფერში ცენტრალური სასურსათო კომიტეტი იყოს დამნაშავე. დამნაშავენი არიან რაიონებიც. განა

მათ უკეთ აქვთ საქმე დაყენებული? განა ცოტა ღარყოფითი მხარეებია რაიონულ სასურსათო კომიტეტების მუშაობაში?..

დიახ, დამნაშავენი ვართ ჩვენ ყველანი და გარშემო ატმოსფერა.

კრიტიკა ყველას გვეადვილება. მაგრამ საჭიროა საქმეში სწორედ ჩახედვაც.

ინგლისელების თავხედობის შესახებ

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ინგლისელების ჩვენში შემოსვლას ბევრ ალაგას რკინის გზაზე მოყვა თავგასულობა. ინგლისელი ოფიცრობა მეტათ უკმეხათ, უდიერათ ეპყრობოდა რკინის გზის დემოკრატიას და ზოგ მათგანზე ფიზიკური ძალაც კი იხმარეს.

ჩვენ ყველა ამას ვხსნიდით უბრალო გაუგებრობით და გვეგონა ეს კულტურული ხალხი თვითონვე შეიგნებდა თავის უხეშ საქციელს.

ინგლისი საზოგადოთ ითვლება კულტურა განათლების ბუდეთ.

და ჩვენ გვეგონა ცივილიზაციის წარმომადგენლები ჩვენშიაც მოიქცეოდენ ისე, როგორც შეფერის განათლებულ ერს, და დაიცავდენ წესრიგს.

მაგრამ ფაქტები სულ სხვას გვეუბნება დღეს. ის წინანდელი დამოკიდებულება რკინის გზის დემოკრატიისადმი, რომლის გამოსწორებას ინგლისელები გვპირდებოდენ, დღესაც სწარმოებს. უკანასკნელი სამწუხარო ამბავი, რომელიც სანაინიდან მივიღეთ, გვიმტკიცებს იმას, რომ ინგლისელებს თურმე სრულებითაც არ აინტერესებთ, რომ ჩვენს გზაზე ერთგვარი წესრიგი იყოს. მემანქანე მარსონის გალახვა ინგლისელი ოფიცრისგან და ის მოთხოვნილება, რაც მას წარუდგინეს სანაინში ინგლისელებმა, სრულებით მოგვაგონებს იმ სამწუხარო დროს, როცა ფრონტიდან დაბრუნებული გახულიგანებული და გაბალშევიკებული ჯარის კაცები მოითხოვდენ გზის ადმინისტრაციიდან მატარებლების ტარებას ისე, როგორც ეს უნდოდათ ჯარისკაცებს. ამ უკანასკნელებს ეუბნებოდენ:

— არ შეიძლება მატარებლის გაშვება, ვინაიდან მახლობელ სადგურიდან გამოვიდა მეორე მატარებელი და გზაში დაეჯახებიან ერთმანეთსო.

მაგრამ ესენი თავის ქეიფზე იქცეოდენ და „ურჩ“ რკინის გზის ადმინისტრაციას სცემდენ და ჟლეტდენ.

ასე მოიქცა სანაინელი ინგლისის ოფიცერიც. მემანქანე მარსონი ჩავიდა სანაინში. მიცემული ინსტრუქციის ძალით მას არ შეეძლო მატარებელის მთელი შემადგენლობა აქედან წაეყვანა ალექსანდროპოლში. ინგლისელი ოფიცერი კი თხოულობდა ამ წესის დარღვევას.

როცა მარსონი ეუბნება, ჩემი მთავრობის ნებადაურთველად ეს მე არ შემიძლია ვქნაო, მას ჩამოათრევენ ორთქლმავალიდან და სცემენ. ეს კი ველურობაა. ასეთი საქციელი არ შეეფერება კულტურულ ხალხს.

და ჩვენ ახლაც ვფიქრობთ, რომ ინგლისელები კარგად ჩაუკვირდებიან ამ ველურ საქციელს და იმეცადინებენ არ დაკარგონ განათლებული ერის სახელი.

დარწმუნებული ვართ იმაშიაც, რომ ჩვენი მთავრობა მოსთხოვს პასუხს ინგლისელებს მათი ზოგიერთი ოფიცრების ასეთი თავხედობისთვის.

პლებეი

ორიოდე სიტყვა გაფიცვის ფონდის შესახებ

ჩვენს გაზეთებში, როგორც ქართულში, ისე რუსულში დაიბეჭდა ვრცელი წერილები ამხ. ი. ტრეიმანისა გაფიცვის ფონდის შესახებ. ავტორი წერილებისა აყენებს ძლიერ საყურადღებო საკითხს „გაფიცვის ფონდის“ დაარსების შესახებ ჩვენში და კერძოთ რკინის გზაზე.

ის სამართლიანათ ხსნის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის ასეთ ფონდს. მოყავს მაგალითი გერმანიის მუშათა კლასის მოძრაობიდან, თუ რა დიდი სამსახური გაუწია გაფიცვის ფონდმა იქ მუშებს.

ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ამხ. ტრეიმანს. „გაფიცვის ფონდს“ დიდი მნიშვნელობა აქვს.

როცა დროა, თუ კაპიტალისტი ხედავს, რომ მუშათა კლასი ღონიერია, მას მდიდარი კასსა აქვს, დიდ ხანს შეუძლია გაფიცვის გაგრძელება, ის არც კი მიიყვანს საქმეს გაფიცვამდე. ადრევე ქედს მოიხრის, მუშათა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და სხვა.

ეს ყველა სიმართლეა.

„გაფიცვის ფონდი“ ძლიერ საჭიროა მუშებისათვის ყველგან, როცა-კი კაპიტალისტური წარმოებაა, როცა ბრძოლაა საჭირო რაიმე რეფორმების მოსაპოებლათ.

ჩვენშიც რა თქმაა ჯერ კიდევ კაპიტალისტური წესწყობილებაა და ასეთი ფონდი საჭირო უნდა იყოს.

მე ვამბობ და ხაზს უსმ „უნდა იყოს“, ვინაიდან ჩვენში ღეს სულ სხვა ნაირი მდგომარეობაა.

მართალია, ჩვენ დღეს ვაშენებთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მარა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სახელმწიფოს სოციალისტური მთავრობა—ჩვენი ამხანაგები უდგანან სათავეში.

ამიტომ მე ბერაფერ-ვეკითხები ჩემს თავს, არის დღეს ასეთი „გაფიცვის ფონდის“ დაარსება საჭირო?

ყოველ შემთხვევაში, თუ ასეთი ფონდი საჭიროა კერძო პროფესიონალურ კავშირებში, არის ის საჭირო რკინის გზაზე?

სხვა პირობებში და სხვა დროს აქ სადაო არაფერია, მარა დღევანდელ პირობებში არის ეს „გაფიცვის ფონდი“ საჭირო?

ჩვენ ვიყავით მოწამენი და არა ერთხელ, როცა სადმე გაფიცვამ იჩინა თავი, ჩვენი რკინის გზელი ამხანაგები წინააღუდგენ ამ გაფიცვებს.

მაშინ ჩვენ გამოვუცხადეთ:

ეხლა გაფიცვა დაღუპავს რევოლიუციას, ეს საერთო საქმის ღალატიაო და სხვა.

რას ამბობს ეს ფაქტი?

რის მომასწავებელია ეს გარემოება? იმის, რომ რკინის გზის მუშები ღეს გრძობენ, რომ ისინი არიან სახელმწიფო და სახელმწიფო არის იმათი.

ვის უნდა გავეფიცოთ?

ნოე ჟორდანიას, წერეთელს, ჩხეიძეს, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა საქმეს ემსახურენ ასე პირნათლათ და ერთგულათ?

ვიცი, რომ ვინმე და თვით ამხანაგი ტრეიმანი იტყვის:

ჯერ კიდევ შორს არის სოციალიზმი.

კიდევ ცხარე ბრძოლა მოგველისო.

მართალია, მეც ასე ვფიქრობ, რომ ბრძოლა მოგველის, მაგრამ როგორ?

გარეშე მტრებთან თუ შინაურებთან, შინაურ მთავრობასან?

მე მწამს, რომ შინაურ მთავრობასან

გარდამავალი ხანა და კაპიტალიზმის პრიზისი

I

მეტათ მძიმე და აუტანელი შეიქმნა კაცობრიობის კულტურული ცხოვრებისათვის საერთაშორისო ომი და მისგან წარმომდგარი ათას გვარი ზარალი; მეტათ მწვავეა ის ტკივილები და ჭრილობები, რომელიც მან მოუტანა მთელ ქვეყანას.

მაგრამ, როგორც ყოველ გვარ მოვლენას, ისე განვლილ საზარელ ომსაც მრავალ უარყოფით მხარეებთან ერთად აქვს დადებითი მხარეებიც; ბევრ დასაგმობ და ცუდთან ერთად მასაც აქვს თავისი მოსაწონი, მიმზიდველი და კარგი მხარე, რომლების დაწვრილებით კვლევა-ძიებას შეუდგება მომავალი მსოფლიოს ისტორია.

განვლილ და მიმდინარე საერთაშორისო ჯოჯოხეთთან ერთად მსოფლიო ისტორიის ამ სისხლიან ფურცლებზე აღინიშნება ისიც, რომ ამ უმაგალითო საერთაშორისო შეხლა-შემოხლით და მისგან გამოწვეული რევოლიუციებით კაცობრიობის ცხოვრებაში პირველათ ჩაისახა და განვითარდა სრულიათ ახალი, შეგნებულ-გათვალისწინებული და გათვითცნობიერებული სოლიდარული ცხოვრება კაპიტალიზმისაგან ტანჯულ-წამებული კაცობრიობისა. ისტორია იტყვის, რომ განვლილი და მიმდინარე დიადი ხანა წარმოადგენს უმაგალითო, არა ჩვეულებრივ გარდამავალ ხანას, როდესაც მოუწყობელ-მოუწესრიგებელი კაცობრიობის ცხოვრება თანდათანობით გარდიქმნა მოწყობილ-მოწესრიგებულ და შეგნებულათ მიმდინარე ცხოვრებათ; ისტორია აღნიშნავს, რომ ომმა და რევოლიუციებმა თავის ჯოჯოხეთურ პროცესში გამოსჭედეს საერთაშორისო დემოკრატიის შეგნება, მის ცეცხლის ქურაში გამოაწრთვეს, გააკაჟეს, და გააფოლადეს მშრომელი ხალხის ნების-ყოფა, და მას დაუმორჩილეს აქამდე სტიქიური პროცესი ცხოვრების განვითარებისა; ის იტყვის, რომ აუარებელი მსხვერპლის შეწირვით და სისხლიანი გაკვეთილებით კაპიტალიზმის და მისგან გამოწვეული იმპერიალიზმის მუხრუჭებში ჩაჭედილმა საერთაშორისო დემოკრატიამ შესძლო მის ხელ-ფეხზე დადებული ხუნდების დამსხვრევ-დალეწა და მით თავისი თავის და მთელი კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლება. ისტორია თავის ახალ ფურცლებზე აღბეჭდავს, რომ მიმდინარე გარდამავალს ხანაში ცხოვრების ყოველ-გვარ ასპარეზზე აქტიურათ გამოვიდა დემოკრატია, რომ მან გამოიჩინა თავისი შემოქმედებითი უნარი და მით თავისი და მთელი ქვეყნის შედიც თავისი დაკოჟიჟებული ხელით გამოსჭედა.

განვლილი საერთაშორისო ომი და მიმდინარე დიდი რევოლიუციები ყველა ამისათვის დიად გარდამავალ ხანად ჩაითვლებიან. და მართლაც, უბრალო და ზერელე თანამედროვე პოლიტიკური მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ამ ჟამად სწარმოებს საერთო გარდაქმნა ძველი ცხოვრებისა. ჩვენს გარშემო სწარმოებს სწრაფი და უმაგალითო პროცესი დრო-მოჭმული ცხოვრების რღვევა-ნგრევისა. ჩვენ ფეხი შევდგით სრულიად ახალ პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, სადაც აქტიურ და გადამჭრელ როლს გათვითცნობიერებული დემოკრატია თამაშობს,

რუსეთის, ავსტრო-უნგრეთის და განსაკუთრებით კი გერმანიის დიდი რევოლიუციები, რომლებიც სწრაფად ანგრევენ ფეოდალურ ნაშთებთან ერთად გაბატონებული ბურჟუაზიული კლასების ციხე-სიმაგრეებსაც—მეტად დიდ საგონებელში აგდებენ გამარჯვებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებსაც. ნახევრად ფეოდალურ სახელმწიფოებთან ერთად დიდი რევოლიუციები დიდ საფრთხეს უმზადებენ თავაშვებულ იმპერიალისტურ ქვეყნებსაც. მიმდინარე დიადი პოლიტიკური მომენტი საერთაშორისო მასშტაბში საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შავი რეაქციის წყალობით ძველი ევროპის აღდგენა შეუძლებელია; პირიქით სწრაფად მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიურ ცვლილებათა უბრალო ანალიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ჩვენ რკინის გზელებს არ დაგვჭირდება, თუ არ იცვალა გარემოება და ჩარხმა უკუღმა არ იწყო ტრიალი.

ამიტომ, მე პირადათ ძლიერ საჭიროთ მიმაჩნია „გაფიცვის ფონდის“ დაარსება ყველგან, ხოლო ჩვენ რკინის გზაზე დღეს ამის საჭიროებას არ ვხედავთ.

ვერც ერთი ქარხნის პატრონი ვერ მისცემს თავის მუშებს იმაზე მეტს, რასაც ის თვით ღებულობს ამ ქარხანაში მომზადებულ-გაკეთებულ საქონელზე.

რას შვრება ჩვენი რკინის გზა?

ის გვაძლევს ჩვენ მუშებს რვა მილიონ მანეთს თვეში მეტს იმაზე, რასაც აკეთებს რკინის გზა.

ასე ჩვენი სახელმწიფო, რომელსაც ნოე ჟორდანია უდგას სათავეში, აძლევს რკინის გზას რვა მილიონ მანეთს. თუ საჭიროებამ მოითხოვა კიდევ მეტს გაიღებს მთავრობა, ხოლო გაფიცვას ჩვენი მთავრობა რკინის გზაზე არ დაუშვებს.

ამხანაგი ტრეიმანი ასახელებს, რომ ამ ფონდისათვის გამორიცხული ფული არ უნდა იყოს 25% ნაკლებიო. მართლაც და თუ გვინდა დავაარსოთ ღონიერი ფონდი, ფულიც არ უნდა დავიშუროთ,

მერე როგორ დააწვება რკინის გზელებს დღევანდელ ცუდ და გაჭირვებულ ეკონომიურ პირობებში ამ 25% ყველა შემოსავლიდან გადახდა?

თუ მე ტრეიმანის აზრი სწორედ გავიგე, ეს უდრის თვეში ორას მანეთამდი, ეს კი, ვიმეორებ, დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია.

მერე, მე ვშიშობ, რომ ამ ფონდის დაარსებას მოყვება აუარებელი შტატის შექმნა, აუარებელი ხარჯი და გაფიცვა კი შეიძლება არცაკი დარჩეს საჭირო.

ასი ათასობით წელიწადში უნდა დაიხარჯოს ამ საქმის მოწყობა-გაძღოლაზე და საჭიროება-კი ამ ფონდში, სანამ სახელმწიფო ჩვენია და ჩვენს ხელში, არ იქნება.

თუ ჩვენ ამდენი ფულის თვიურად ეამოღებას შევიძლებთ, ჩვენ შეგვეძლო სხვა გვარად გაგვეუმჯობესებინა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, მაგ. ბინების აშენება თუ სხვა, მარა იქნება მე ვცდები?..

აი ამ წერილის მიზანიც ისაა, საქმე გამოირკვეს. გავხსნათ ამის შესახებ ჩვენს გაზეთში კამათი და მითი გავიგოთ ამხანაგების აზრი.

კესაშვილი.

რედაქციისაგან

ამ წერილს ვათავსებთ იმიტომ, რომ ალბათ ი. ტრეიმანის წერილები გაფიცვის ფონდის დაარსების შესახებ ზოგიერთ ამხანაგებს ძალიან ცუდად გაუგიათ.

გაფიცვის ფონდი ყველა პროფესიონალურ კავშირებში უნდა არსებობდეს. ეს ფაქტია. ამას მოითხოვს პროფესიონალური მოძრაობაც.

ამხ. კესაშვილი ამბობს: დღეს სახელმწიფოს სათავეში ჩვენი მთავრობაა და რად გვინდა გაფიცვის ფონდის დაარსება, ვის უნდა ვებრძოლოთო?

არ ვიცით, რად დასჭირდა ამხ. კესაშვილს ასეთი არგუმენტის მოყვანა.

პროფესიონალური კავშირები განა იმიტომ არსებობენ, რომ მთავრობას ებრძოლონ და ისიც ისეთს, რომლის სათავეში ჩვენი დემოკრატიის თავდადებული ლიდერი ნოე ჟორდანიაა?

მაგრამ წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა მოხდა, მაგალ. პოლიტიკური გადატრიალება, ან სხვა ისეთი ცვლილება ჩვენს სახელმწიფოში, რაიც დემოკრატიის საწინააღმდეგოთ იქმნება მიმართული. მაშინ? ხომ მოგვიხდება ამ დროს რკინის გზელებს გაფიცვის გამოცხადება, რომ ამით მხარი დავუჭიროთ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას და დავიცოთ რევოლიუციონური მოპოვებანი?

ეს ცხადზე უცხადესია. ამას ცოტა ხნის წინათაც კი ველოდით. და აი ამ დროს არ უნდა გვქონდეს გაფიცვის ფონდი? ცხადია უნდა გვქონდეს.

აი, ამხ. კესაშვილო, რი'თვისაა საჭირო გაფიცვის ფონდის დაარსება.

კერძო წარმოებებში გაფიცვის ფონდი საჭიროა იმისთვის, რომ კაპიტალისტმა ანგარიში გაუწიოს კავშირს. ხოლო თუ ბრძოლა გაიმართება კაპიტალსა და შრომას შორის გაფიცვის სახით, ღონიერი და ფინანსიურათ მაგარი პროფესიონალური კავშირი ყოველთვის გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში.

რკინის გზაზე დღევანდელ პირობებში ეს ფონდი საჭიროა აგრეთვე პოლიტიკური მიზნითაც.

რომ ამხ. კესაშვილს ცუდად გაუგია წერილები გაფიცვის ფონდის შესახებ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ის ამბობს, 25%-ის გამოქვითვა მძიმეთ დააწვება მოსამსახურეებსო.

25% ჯამაგირებიდან კი არ ერიცხება მუშებს, არამედ 1%-დან. ცენტრალურ გამგეობაში შემოსული თანხიდან 25% გადაიდება გაფიცვის ფონდისთვის. მოსამსახურეები კი იხდიან კავშირის სასარგებლოდ მხოლოდ 1%, რაიც დღესაც არის.

ამისთვის არც შტატია საჭირო, ვინაიდან კავშირის სასარგებლოდ შემოსულ ფულიდან 25% გადადების ხარჯი მოსამსახურეების მოწვევა არ ესაჭიროება.

სასურსათო პრიზისი

ქალაქში ფასები ერთი-ორათ აიწია. ამასთანავე ერთად ბაზარზედ ძალიან ცოტა სურსათია. აშკარაა, ერთი—ორი თვის შემდეგ სურსათის საკითხი უფრო მწვავედ დადგება და კატასტროფიულ ხასიათს მიიღებს. ამ მხრით უველაზე მეტ გაჭირვებაში ჩავარდება თბილისი, სადაც აუარებელი მეხოვრებლებია თავმოყრილი და ბევრი სურსათი ინთქება. ამიტომ საჭიროა ქალაქის გამგეობამ და რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა ეხლავე აამოძრავონ თავისი აპარატი, მიიღონ ენერგიული ზომები, რომ მოსალოდნელი კატასტროფა აცილებულ იქმნას თავიდან და სურსათის კრიზისი ცოტაი მაინც განელდეს.

პირველ ყოვლისა საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიექცეს პურის და სხვა ჭირნახულის შეძენას. მართალია, საზღვარ გარეთიდან პურის შემოსვლის იმედი ეხლა დიდი აღარ უნდა გვქონდეს, ვინაიდგან პოლიტიკური დამოკიდებულება იმ მხარეებთან, საიდანაც ჩვენში შემოდიოდა პური, მეტად გართულებულია, მაგრამ განა ჩვენში არ მოიპოვება ფქვილეულობა.

საქართველოს მოსდის თავისი სამეოფი სიმინდი. ქუთაისის გუბერნიას თავისუფლად შეუძლია გამოკვებოს მთელი საქართველო.

საჭიროა მხოლოდ ამის შეძენა, დამზადება და სწორად დანაწილება. ეს კი უნდა მოაწესრიგოს ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ ქალაქებისა, ერობების და რკინის გზის დახმარებით. სურსათის ადგილობრივ დამზადებაში, სასურსათო საბჭოს-

---

გვიჩვენებს, რომ რეოლიუციონურ სახელმწიფოებს ახლო მომავალში გვერდით ამოუდგებიან სხვა კაპიტალისტური სახელმწიფონიც, რის ნიშნებს ჩვენ ახლაც ვამჩნევთ გრანდიოზული პოლიტიკური გაფიცვების, მუშათა საერთო მოძრაობის და სხვა და სხვა პოლიტიკური აქტების სახით.

წითელი საფრთხე და სოციალიზმის აჩრდილი ძილს უფრთხობს ბებერს კაპიტალისტურ ევროპას, თვით კაპიტალიზმის აკვანს,—გამარჯვებულ ინგლისს და ამერიკის შტატებს, რომლებმაც შეიძლეს იმპერიალისტური ცენტრალური ევროპის დამარცხება, მაგრამ ამ ჟამად შიშით ცახცახებენ იმ რევოლიუციონური დემოკრატიული ძალების წინაშე, რომლებიც დამარცხებულ სახელმწიფოებში დღითი დღე იმარჯვებენ. კაპიტალისტური და იმპერიალისტური ევროპა თრთის იმ წითელი საფრხის წინაშე, რომელიც ომისა და რევოლიუციების ნანგრევებიდან წამოიჭრნენ და რომლებიც კაპიტალისტური ცხოვრების ჯურღმულებიდან თვითონვე წარმოშვეს.

გამარჯვებული იმპერიალისტებისათვის ასეთ საშიშ ძალებს წარმოადგენენ ზოგან ბალშევიზმის წყალობით დროებით გზა-დაბნეული დემოკრატიული ელემენტები, ზოგან კი პოლიტიკურათ აღზრდილ-გაწვრთნილი და ორგანიზაციულათ შეკავშირებული გათვითცნობიერებული დემოკრატიული წრეები, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიაში, საქართველოში.

მიმდინარე დიდი რევოლიუციების წყალობით პირველ-ყოვლისა ერთხელ და სამუდამოთ ინგრევიან ნახევრათ ფეოდალურ-ბურჟუაზიული სახელმწიფონი, რომლებმაც ომის სასტიკი გამოცდა ვერ აიტანეს; უფრო ძლიერმა წმინდა ბურჟუაზიულმა იმპერიალიზმმა გარედან დაამარცხა მათი შედარებით სუსტი იმპერიალიზმი, რომლის ძირფესვიანათ ამოგდებას შიგნიდან შეუდგა რევოლიუციონური დემოკრატია; და აი ამ ჟამათ იმპერიალიზმის ნაცვლათ რევოლიუციონური ქვეყნები სწრაფათ დაადგნენ დემოკრატიზაციის გზას.

სახელმწიფოთა საერთაშორისო სოლიდარობა და დემოკრატიზაცია,—აი ერთად ერთი მხსნელი გზა დამარცხებული და განახლებული სახელმწიფოებისა: ამიტომაც არის, რომ ასეთ ქვეყნებში დიდი რევოლიუციების წყალობით ინტენსიურათ სწარმოებს დემოკრატიის პოლიტიკური აღზრდა და გათვითცნობიერება; მართვა-გამგეობის და სახელმწიფოებრივი წესწყობილების დემოკრატიზაციასთან ერთად აქვე იჭრებიან მწვავე ეროვნული საკითხებიც; ეროვნებათა თავისუფლებას და სრულ თვითგამორკვევას დიდი რევოლიუციების საუალებით ეყრება მკვიდრი და შეურყეველი საფუძველი.

ამ გზით ერთა შორის მჭიდრო კავშირს, მათ სოლიდარობას და ხალხთა დემოკრატიულ ლიგას,—წინააღმდეგ ვილსონის იმპერიალისტური ლიგისა, დღითი დღე ნიადაგი უმზადდება

ასეთია ის რევოლიუციონური პროცესი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისა, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებს გამარჯვებულ იმპერიალისტებს; ასეთი პროცესი რევოლიუციისა სასიკვდილო ლახვარსა სცემს გამარჯვებულების იმპერიალიზმს და მასაც იმავე სამარეს უმზადებს.

ჯერ ისევ საერთაშორისო ომის დროს აშკარა იყო მისი იმპერიალისტური ხასიათი და მისმა შედეგებმა—დამარცხებულების უწყალო ძარცვამ და რევოლიუციებს ცეცხლმა, დღეს ქვეყანას დაანახვეს იმპერიალისტების გაუმაძღარი მგლური თვალები, რომლებიც ლამობენ განახლებულ და გადატრიალებული ქვეყნების ბატონპატრობას; მაგრამ მათი ასეთი ცდა დღეს დღეობით უნაყოფოთა რჩება და უნდა ვიფიქროთ საქმეთა მსვლელობის მიხედვით, რომ ახლო მომავალში მათი ამ მხრივ სისუსტე ყველასთვის აშკარა იქნება.

მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მომენტის ერთი მთავარი დამახასიათებელია საერთაშორისო რევოლიუციონური დემოკრატიის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საერთაშორისო შავი რეაქციის მატარებელ გამარჯვე-

თან შეთანხმებით, უნდა მიიღოს დიდი მონაწილეობას თბილისის ქალაქის თვითმართველობამ, როგორც ერთ-ერთმა უველა ქალაქებზე მეტმა მომხმარებელმა, და აგრეთვე რკინის გზამაც.

თუ პურის ფქვილი არ გვექნება, სიმინდის მაინც იქნება და ამ გვარად იოლად გამოვალთ იმ მწარე მდგომარეობიდან, რომელსაც ახლო მომავალი გვიმზადებს ჩვენ.

გარდა ამისა შეიძლება სხვა და სხვა სურსათის შეძენა ადგილობრივ ბაზარზედ. ხშირად აწვდიან სხვა და სხვა დაწესებულებებს პარტიობით ლობიოს, ბრინჯს, მაკარონს და სხვა სანოვაგეს. ამის შეძენასაც დიდი ენერგიით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან, შესაძლებელია, ახლო მომავალში ეს სანოვაგე მეტად საჭირო და ხელმიუწდომელი გახდეს.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს საზღვრებიდან ცხადად თუ ფარულად აუარებელი ფქვილეულობა გადის საზღვარ გარედ. ეს მგონია, იმ დროს, როცა ჩვენ მოგველის კატასტროფა, ცოტა მეტი ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ საქონლის გატანას.

გარდა ამისა ქალაქის გამგეობამ საჭიროა მიაქციოს დიდი ყურადღება ნიხრის საქმეს. ფაქტიურად ნიხრი არ არსებობს თბილისში, თუმცადა ის ყოველ კვირა მუშავდება და იბეჭდება. ფასები კი ცეკვა-ტრიალით იზრდებიან სურსათზედ და მომხმარებელს ძვრება ტყავი.

არ კმარა ნიხრის ქაღალდზედ დაწერა და გამოკიდება. საჭიროა მისი ცხოვრებაში გატარება. და ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა ქალაქი თვითონ ამზადებს სურსათს და გამოაქვს ის გასაყიდად ბაზარზედ.

შარშან ქალაქს ჰქონდა ხორცის დუქნები, სადაც ხორცი ნიხრზედ იყიდებოდა. კერძო მეხორცეები იძულებულნი იყვნენ ნიხრზედ გაეყიდათ ხორცი. იყო ისეთი კურიოზული შემთხვევაც, როცა ზოგიერთი ხორცის ვაჭრები აცხადებდნენ ნიხრზედ დაბალ ფასებს.

ამ რამდენიმე თვის წინად ეგრედ წოდებული შეერთებული კომისია აძლევდა ქალაქს 3 ათას ფუთამდე პურს დღეში, 2 მან. გირვანქას. კერძო პურის საცხობებში და დუქნებშიაც ამის გამო დაწყნული ფასები იყო. შეწყვიტა თუ არა ამ კომისიამ პურის მიცემა, წამსვე 30—40% აიწია პურზედ ფასი.

თებერვალში ქალაქის გამგეობა შეუდგა პურის გამოცხობას. უშვებდა ყოველ დღე 1000 ფუთამდე პურს და არიგებდა უფრო ღარიბ რაიონებში. წარმოიდგინეთ ამას დიდი გავლენა ჰქონდა ბაზარზედ და პურზედ საერთოდ შეურყეველი ფასი იყო. (УСТОЙЧИВЫЯ ЦѢНЫ).

მაგრამ ქალაქს გამოელია ფქვილი და შესწყვიტა პურის გამოცხობა. ამას ანგარიში გაუწიეს კერძო მოვაჭრეებმა და მეორე დღესვე 40—50% აიწია ფასი პურზედ. დღეს ეს ფასები ყოველ დღე მატულობს და ვინ იცის სადამდე ავა, - მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში კერძო პირთა ხელში დაგროვილი ფქვილები დიდი ხნის შეძენილია. ეს სიძვირე კი მძიმეთ აწვება კისერზე ჩვენს დემოკრატიას.

აქედან აშკარაა, რომ ქალაქი თვითონ უნდა ერეოდეს საქონლის დამზადება-გაყიდვის საქმეში მეცადინეობდეს მცხოვრებლებს მიაწოდოს საქონლის განსაზღვრული რაოდენობა მაინც ნიხრზედ, რომ სხვებიც აიძულოს ფასების დაკლებაში სურსათზედ. ამას მოითხოვს რკინის გზის დემოკრატიის ინტერესებიც, ვინაიდან თბილისი ტონს აძლევს მთელ საქართველოს და თუ აქ ბოლო არ მოეღო სპეკულიანტების ვაქხანალიას, წარმოუდგენელი იქმნება ცხოვრება, იმ რკინის გზის დემოკრატიისა რომელიც გაცილებით მცირე ხელფასს იღებს.

ა. რუხაძე.

ბული კოალიციის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

და აი ამ ჟამად საერთა შორისო ომის ნაცვლად ჩვენ მოწამენი ვხდებით უფრო დიადი, უფრო მწვავე და უაღრესად მნიშვნელოვანი ბრძოლისა., სადაც ერთ მხრივ იქმნება მთლიანი საერთაშორისო რევოლიუციონური დემოკრატიული ფრონტი და მეორე მხრივ — იმპერიალისტური სულისკვეთებით შეპყრობილი კონტრ-რევოლიუციონური შავი ფრონტი, რომელიც ცდილობს ევროპის რევოლიუციის სისხლში ჩახრჩობას და ძველი ქვეყნის აღდგენას.

ამნაირად ჩვენ თვალ წინ იშლება უფრო საშინელი, საბედისწერო და მსოფლიო ისტორიის გარდამქნელ-განმაახლებელი ბრძოლა, რომელიც სჭედავს საერთაშორისო დემოკრატიის ბედ-იღბალს და მის მომავალ კეთილდღეობას.

(გაგრძელება იქნება)

ი. ირემაშვილი

სალამი

ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შემდეგი სალამი გაუგზავნა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას.

რკინის გზელთა პროფეს. კავშირის ცენტრალური გამგეობა გულით მოგილოცავს თქვენ რესპუბლიკის უზენაეს წარმომადგენილ პოსტზე არჩევას. რკინის გზის დემოკრატია ყოველთვის პატივს გცემდა თქვენ, როგორც მასწავლებელს და უფროს ამხანაგს და ღრმადაა დარწმუნებული, რომ თქვენი ახალი არჩევა უმაღლეს დამფუძნებელი კრებისგან იპოვის სრულ გამართლებას მომავალ თქვენს მოღვაწეობაში, რასაც უკვე ალაგი ქონდა წარსულ თვეებში, როცა თქვენ, ასრულებდით რა დემოკრატიის ნებას, აიღეთ თქვენს თავზე მთელი სიმძიმე რესპუბლიკის ცხოვრების საერთო ხელმძღვანელობისა. თქვენი საუცხოვო ენერგიის წინაშე დიდათ მოვალეა ჩვენი დემოკრატია და მათ რიცხვში მუშათა კლასი, რომელთაც შეინარჩუნეს ფიზიკური არსებობა და დაამყარეს დემოკრატიული წესრიგი მხარეში. თქვენმა ერთგულობამ და იდეის სიყვარულმა ქმნეს ის, რომ აღმოფხვრილ იქმნა ჩვენში ის ანარქია, რომელმაც მთელ რუსეთში იპოვა პოხიერი ნიადაგი და დაასახიჩრა რევოლიუციის მონაპოვართა შედეგები. და მხოლოდ საქართველოში ჩვენი საერთო მზრუნველობით ინახებიან ეს რევოლიუციის მონაპოვარნი.

დღეს, როცა ახალგაზრდა რესპუბლიკა, მის სრულ უფლებიან ბატონ პატრონის დამფუძნებელი კრების სახით, თქვენი არჩევით რესპუბლიკის პირველ მოქალაქის უმაღლეს პოსტზე აფასებს თქვენს წარსულ მოღვაწეობას, ცენტრალურმა გამგეობამ მწუხარებით გაიგო თქვენი და თქვენი ოჯახის მძიმე ავადმყოფობა.

გამოსთქვამთ რა ჩვენს ულრმეს მწუხარებას ამის გამო, რკინის გზელები სულით და გულით გისურვებენ თქვენ ჩქარა განკურნებას და სიხარულით ელოდებიან იმ დღეს, როცა თქვენ კვლავ ჩასდგებით რესპუბლიკის მმართველობის სათავეში დემოკრატიის საერთო კეთილდღეობისათვის.

ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილის გაფიცვის შესახებ

რკინის გზის ცენტრალურმა კავშირმა, მოისმინა რა ცნობა ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილის გაფიცვის შესახებ, სთვლის მას დღევანდელ მომენტში დეზორგანიზატორულ და დამღუპველ ნაბიჯათ და სრულიად მხარს უჭერს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამოცხადებულ გაფიცვას ვერ დაუჭერს მხარს რკინის გზის კავშირი, ვინაიდან ეს გაფიცვა არაა სწორი და მიმართულია დემოკრატიული საბჭოსა და ქალაქის ულარიბეს მცხოვრებთა წინააღმდეგ.

თუ ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის მომწყობ კომიტეტმა უმთავრეს კოზირად იხმარა მოდებული ეპიდემია, უნდა ამით ისარგებლოს და შესწყვიტოს პარტახტიანი ტიფით ავადმყოფთა მიღება ქალაქის საავადმყოფოში, რკინის გზის კავშირი პროტესტს აცხადებს ასეთ ავაზაკურ ტაქტიკის წინააღმდეგ და მზათაა დროებით დაუთმოს მთელი თავისი საექიმო პერსონალი იმ მცხოვრებთა საჭიროებას, რომლებიც ქალაქის მოსამსახურეთა უგუნურებით მიტოვებულია ბედის ანაბარათ, ხოლო თუ ქალაქის წარმოებებისთვის საჭირო იქნება, შეიძლება დროებით გავზავნონ ხელოსნები და მუშები.

თავისთავად ცხადია, რომ დაწყებულ გაფიცვას რკინის გზელები მხოლოდ ენერგიულად გმობენ და სრულ უარს ეუბნებიან ქალაქის მოსამსახურეებს მორალურ დახმარებაში.

პროტესტი ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.

26 მარტს, ნაძალადევის თეატრში შესდგა პირველი რაიონის მუშათა კრება. თეატრი სავსე იყო ხალხით. გასარჩევი იყო საკითხი ქალაქის მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია გაფიცვის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ მიღებულ იქმნას ენერგიული ზომები საქართველოს დემოკრატიის მოსისხლე მტრების გაფიცულთ წინააღმდეგ გამოცხადა ზიზღი.

კიდევ ერთი ავანტიურა

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეების ერთმა ნაწილმა გამოაცხადა გაფიცვა.

მათ არ დაუჯერეს არც პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, არც შრომის სამინისტროს, არც ქალაქის თავის ამხანაგის გულწრფელ რწმუნებას, რომ გაფიცვა უაზრო და უმიზნოა, და გადადგეს შემცდარი ნაბიჯი.

ბევრმა შეიძლება არც კი იცის რისთვის გაიფიცა ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილი.

მათი მოთხოვნილება თითქო ეკონომიური და ერთი შეხედვით სამართლიანიც გეგონებათ.

ისინი თხოულობენ ჯამაგირების დროზე მიცემას. თხოულობენ თებერვლის და მარტის ჯამაგირები მისცენ დაუყოვნებლივ.

ქალაქის გამგეობა კი ეუბნება მათ, რომ თვით მმართველობა განიცდის ფინანსიურ კრიზისს და არ შეუძლია ერთბაშათ დააკმაყოფილოს მოსამსახურენი. მაგრამ ამავე დროს გამგეობა პირდებოდა მოსამსახურეთ, რომ 1 აპრილიდან შეუდგება ჯამაგირების მიცემას. ქალაქის გამგეობა დარწმუნებულიც კი იყო იმაში, რომ ის შესძლებდა მიეცა მოსამსახურეთათვის 1 აპრილიდან ჯამაგირება. გაფიცვის გამოცხადებამდე დღეში შემოდიოდა ქალაქის კასაში გადასახადების სახით 50—60 ათასი მანეთი. 1-აპრილამდე შემოვიდოდა კასაში სულ 400—500 ათასი მანეთი.

აპრილის პირველ რიცხვებში მთავრობა პირდებოდა ქალაქის გამგეობას $1^1/_2$ მილ. მანეთს. ამგვარათ ქალაქს შეეძლო 1 აპრილიდან დაეკმაყოფილებია მოსამსახურენი.

მაგრამ მათ არ მიიღეს ეს განცხადება და... გამოაცხადეს გაფიცვა.

ეხლა რა უნდა მოუტანოს მათ ამ გაფიცვამ?

ეს 400—500 ათასი მანეთი რომელიც გადასახადის სახით პირველ აპრილამდე უნდა შემოსულიყო კასაში, აღარ შემოვა ან შემოვა ძალიან მცირე ნაწილი გადასახადისა.

გარდა ამისა ეს გაფიცვა აფუჭებს ქალაქის ისედაც არეულ მდგომარეობას და უფრო გაართულებს ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობას.

აქედან აშკარაა, რომ ეს გაფიცვა ეკონომიურ მიზანს სრულიადაც არ აღწევს. პირიქით ის სპობს ამ მიზანს, ასამარებს მას.

მაშ რა მიზნით იყო ეს გაფიცვა გამოწვეული?

ვინც ახლო იცნობს ამ გაფიცვას, ვინც ყოფილა ქალაქის მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და თვალს ადევნებდა ამ გაფიცვას, მისთვის აშკარაა, რომ ეს გაფიცვა მოხდა პოლიტიკურ ნიადაგზე.

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირი დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა აწარმოებდა მეტათ საზიზღარ პოლიტიკას.

ყველა ჩვენგანს კარგათ ახსოვს ამ კავშირის გამოსვლა არჩევნების დროს და მისი ვართე რეზოლიუციები, რომლებიც შესაფერათ იყვნენ დაფასებულნი ჩვენს პრესაში.

მას შემდეგ, რაც საქართველოს დამფუძნებელი კრებაში და ქალაქის საბჭოში გავიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა, ამ კავშირს არ სძინავს და დღითი დღე ეძებს საბუთს, რომ ყინული ასტეხოს, თავი წამოყოს.

დღეს მათთვის სწორეთ რომ აღდგომა გათენდა.

ერთის მხრით პარტახტიანი ტიფის სიმძაფრე, რომელზედაც ქალაქის თვითმმართველობა ხარჯავს დღეს აუარებელ თანხას. მეორე მხრით ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის გართულების გამო მოსამსახურეებზე თავის დროზე ჯამაგირების მიუცემლობა და ისიც ასეთ სიძვირეში.

ამაზე უკეთესი დრო კულიკოვ-პოლოსოვხვალესებისთვის ძნელათ თუ დადგებოდა.

და აი მათ ისარგებლეს ამ იშვიათი დროთი, რომ ბრძოლა გამოუცხადონ თვით იმ დემოკრატიას, რომელმაც ამ ერთი თვის წინათ აირჩია თავის წარმომადგენლები ქალაქის თვითმმართველობაში.

ქალაქის თვითმმართველობაში დაბუდებულმა ბოლშევიკებმა ისარგებლეს ამ ფინანსიური კრიზისით და ეპიდემიით, მოახდინეს აქ ერთგვარი სპეკულიაცია და ამ ავანტიურაში ჩაითრიეს ქალაქის მოსამსახურეთა ერთი ნაწილი.

ეს გაფიცვა რომ პოლიტიკური ხასიათისაა და მიმართულია ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ გაფიცვის კომიტეტში თითქმის ყველა ბოლშევიკებია: კოჩხოია, ნუცუბიძე, ხვალესი და კამპანია.

თითქმის ყველა კრებებს მეთაურობდენ ბოლშევიკები და არც კი მალავდენ თავიანთ სულის კვეთებას.

ბევრ ადგას პირდაპირ იძახდენ, რომ მათ ამ გაფიცვით უნდათ ხალხს აუხილონ თვალები და დაანახონ თუ როგორი მმართველობაა მათთვის საჭირო, მენშევიკებს უწოდებდენ „სოგლაშატელებს", ნათლავდენ ხალხის მტრებათ და სხვა.

რომ ეს გაფიცვა ერთგვარი სპეკულიაციაა, ეს სჩანს იქიდანაც, რომ გაფიცვის მომწყობ კომიტეტის ერთმა წევრმა სიტყვა სიტყვით საერთო კრებაზე განაცხადა შემდეგი:

ჩვენ ხელთ არის ერთი უძლიერესი კოზირი — ეს არის შავი სახადი, ამ სენმა დაარღვია მეთერთმეტე არმია და ჩვენც იგივე გაგვამარჯვებიებს. ამიტომ დავაჩქარეთ გაფიცვა, თორემ ზაფხულამდე ეს შმისე ნეცირდება და მერე გვიანღა იქნება. ერთი სიტყვით ეს გაფიცვა კი არ ყოფილა, არამედ სახადზე სპეკულიაცია.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ და შრომის სამინისტრომ ვერ დაუჭირეს ამ გაფიცვას მხარი, იმიტომ რომ ვერ ხედავდენ მასში ვერავითარ ეკონომიურ მიზანს. პირიქით ყველასთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ ეს გაფიცვა გამოწვეული იყო პოლიტიკური მიზნით და აზრათ ქონდა ბრძოლა ჩვენს დემოკრატიასთან და მუშათა კლასთან, რომელთაც შესძლეს ჩვენს რესპუბლიკაში რევოლიუციონურ მონაპოვართა შენარჩუნება.

მოსამსახურეთა უმწეო მდგომარეობა კი ერთი საბუთთაგანი იყო ბ. ბ. ხვალეს — ხუდადოვ-პოლოსოვებისთვის, რომ შექმნათ ქალაქის მოსამსახურეებში საერთო ფრონტი დემოკრატიის წინააღმდეგ მაგრამ მწარეთ მოსტყუვდენ. მათ ავანტიურას აყვნენ მარტო „ჩინოვნიკები", ნიკოლოზის კაკარდოსნები და ის ძველი მონა-ლაქიები, რომლებიც ძველი მთავრობის დროს მუხლებს უკოცნიდენ თავიანთ უფროსებს და ხელებს ულოკავდენ. ხოლო ნამდვილი დემოკრატიული ნაწილი მუშა-მოსამსახურეთა, როგორიცაა ტრამვაი, წყალსადენი, ელექტრონის სადგური, სასაკლაო, მებაღეები, მასწავლებელთა ერთი ნაწილი და ზოგიერთი ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი, მათ არ მიემხრენ და შეგნებულათ განაგრძობენ მუშაობას, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი მათგანი გაფიცულებზე გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ნივთიერი მხრით.

— ჩვენი ამხანაგები ფრონტზე სისხლს ღვრიან, თავს სწირავენ სამშობლოს, ხოლო მათი ცოლშვილი კი შინ ბევრს შევიწროებას და ხელმძღვანელობას განიცდის. და ნუ თუ ჩვენ უნდა გაგვიჭირდეს რამდენიმე დღით მოვითმინოთ და მაშინ მივიღოთ ჯამაგირები, როცა ფული იქნება გამგეობის კასაში, — გვესმოდა საერთო კრებებზე მუშების ხმა.

აი ნამდვილი მოქალაქეობა, შეგნება თავის ინტერესების.

ბრძოლაში გამოწვრთვნილი პირები, ნამდვილი მშრომელები, დემოკრატიული ნაწილი ქალაქის მუშა-მოსამსახურეებისა, რომელთა უმრავლესობას პოლიტიკური ბრძოლისთვის ციხე-ციმბირი და კატორღები არა ერთხელ უნახავს, არ ეფიცებიან ქალაქის დემოკრატიას, არ სტოვებენ ავათმყოფებს უმწეოთ მაშინ, როცა ბაქტერიები სასტიკ ომს გვიცხადებს ჩვენ. ესენი შეგნებულათ დგანან თავიანთ ადგილებზე. გაფიცვას აცხადებენ მხოლოთ გუშინდელი მონა-ლაქიები, რომელნიც ჩირქს სცხებენ თვით გაფიცვის იდეას.

გაფიცვა უკიდურესი იარაღია პროლეტარიატის ხელში და მას მიმართავს ის მაშინ, როცა ერთის მხრით ყოველივე საშუალებანი ბრძოლისა ამოწურულია, ხოლო მეორე მხრით ყოველ მხრით აწონილ დაწონილია საერთო მდგომარეობა, გაფიცვა გადაწყვეტილია არა ხელოვნურათ, არამედ მას უჭერს მხარს მუშების ფართე ნაწილი, არის გაფიცვის ფონდი და ამგვარათ გამარჯვება უფრო ნაკლებ უიმედოა გაფიცულთა თვალში მაინც.

ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვა კი მოკლებული იყო ყოველივე ამას. მას არ უჭერდა მხარს არა თუ კავშირების ცენტრალური ორგანო და შრომის სამინისტრო, არამედ თვით მოსამსახურეების დიდი ნაწილიც. ამ გაფიცვის წინააღმდეგია თვით ფართე საზოგადოება. არ აქვთ გაფიცულებს არც გაფიცვის ფონდი, არც ელოდებიან არსაიდან დახმარებას. გარდა ამისა თვით ის ეკონომიური მიზანი, რომლის დროშის ქვეშ ასე თუ ისე გამოდიან თვალის ასახვევათ მაინც მოსამსახურეები, უკვე დამარცხებულია, რადგან გაფიცვა ვერ მოუტანს ქალაქს მილიონებს, პირიქით უფრო გააფუჭებს კასის მდგომარეობას.

ქალაქის საბჭომ 25 მარტის სხდომაზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ერთგვარი ავანტიურაა და არა პროლეტარული გაფიცვა, შეაქვს მას დეზორგანიზაცია თვით პროფესიონალურ მოძრაობაში, არაა ის ორგანიზაციულად მოწყობილი, მისი წინააღმდეგია თვით თბილისის პროლეტარიატი პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სახით და ამგვარათ ეს გაფიცვა ეწინააღმდეგება პროფესიონალურ კავშირების ეთიკას. და ამიტომ დაადგინა დაითხოვოს სამსახურიდან ყველა ისინი, ვინც არ გამოცხადდება 27 მარტს დილის 9 საათზე სამსახურში.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო.

ავანტიურისტების მიერ გამოცხადებული გაფიცვა დემოკრატიის წინააღმდეგ დამთავრდა დამარცხებით.

ეხლა-კი საჭიროა ეს ბოლშევიკური ბაცილებით შეპყრობილი კავშირი ქალაქის მოსამსახურეებისა დაირღვეს, გადახალისდეს და შესდგეს კავშირი უფრო სწორ ნიადაგზე.

საჭიროა აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობა, რომლის მიზანია დემოკრატიისადმი სამსახური, საჩქაროთ გაიწმინდოს დემოკრატიის მტრებისგან და დამყარდეს აქ ისეთი ატმოსფერა, სადაც შესაძლებელი იქმნება დადებითი მუშაობის წარმოება.

ცხადია, ის მოსამსახურეები, რომლებიც ხვალეს — პოლოსოვების ფეხის ხმას მიყვებიან, ვერასოდეს ვერ იდგომებიან ვერც კლასიურ ნიადაგზე, რომლის შესახებ დღეს ბევრს ლაპარაკობს გაფიცვის კომიტეტი, და ვერც სწორ თანამშრომლობის ნიადაგზე.

ა. რ.

შემთხვევა სად. სანაინში

სად. სანაინიდან მიღებულია შემდეგი ცნობა: 24 მარტს ინგლისის კომენდატმა უბრძანა თბილისის დეპოს მემანქანეს მარსონის, რომელიც დილის 4 საათზე ჩამოვიდა მატარებლით № 401, წასულიყო მთელი შემადგენლობით ალექსანდრეპოლში. ამის საპასუხოთ მემანქანე მარსონიმ უპასუხა, რომ თავის უფროსების განკარგულებით მას არ აქვს უფლება წავიდეს იქით და კატეგორიულათ უარი განაცხადა წასულიყო მთელი შემადგენლობით ალექსანდრეპოლისკენ.

მაშინ ინგლისის კომენდატმა არ მისცა მემანქანე მარსონის უფლება დაბრუნებულიყო [illegible] რებლით, ხოლო [illegible] ზე ინგლისის კომენდატმა პირადათ და მასთან ერთად 8 ინდოელებმა დეპოს გზებზე ჩამოიყვანეს ორთქლმატარებლიდან ის და გალახეს.

სად. სანაინის მოსამსახურეები, აღშფოთებულნი ასეთი მოპყრობით ინგლისელების მხრით იმ პირთადმი, რომლებიც იცავენ გზის და რესპუბლიკის ინტერესებს, მოითხოვენ დაცვას და პასუხს მოსამსახურეთა ასეთ დაცინვა-შეურაცხყოფაზე.

ეს ცნობა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო სხდომის დროს, რომელშიც მონაწილეობას იღებდა გზათა მინისტრი ამხ. ხომერიკი. გამგეობამ სთხოვა ამხ. ხომერიკს მიიღოს ზომები ასეთ შემთხვევების ლიკვიდაციის შესახებ. თუ ასეთ ფაქტებს მომავალშიაც ექნება ალაგი, რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი იძულებული იქნებიან უარი სთქვან სანაინის უბანში სამსახურზე.

კავშირის ცხოვრება

ქუთაისი. 10 მარტს ქუთაისის სადგურის დარბაზში მოხდა კრება ქუთაისის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა. კრების მიზანი იყო მოესმინა მოხსენება თფილისიდან დაბრუნებული ამხანაგისა, თავმჯდომარეთ კრებისა არჩეულ იქნა ამხ. ი. მელქაძე და მდივნათ ამხ. დ. ჭარხალაშვილი. მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. უგლავამ, რომელმაც თვალწინ გადაუშალა კრებას კონფერენციის დადგენილებები: კოლექტიურ ხელშეკრულობაზე, ხელფასის აწევაზე რკინის გზაზე, სექციების, რაიონულ და ცენტრალურ გამგეობების დამოკიდებულებაზე, კულტურულ-განმანათლებელ საქმეზე და სასურსათო საკითხზე, რაც ასე მწვავედ სდგას ჩვენში, და დაუმატა: მთავრობა მზადაა შეძლებისა დაგვარათ ხელი გაუწოდოს მუშათა კლასს, ხოლო ამ უკანასკნელმა საჭიროა ნათლათ შეიგნოს მოქალაქობრივი მოვალეობა, გაუწიოს ანგარიში შექმნილ პირობებს და შეგნებულათ შეხვდეს მომავალს. მიღებულ იქნა ამხ. ვ. ცქიტიშვილის და გ. თვალაძის წარმოდგენილი რეზოლიუცია:

ქუთაისის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა მოხსენება კონფერენციიდან დაბრუნებულ ამხ. ლ. უგლავასი, ერთხმად იზიარებს ნაბიჯებს, გადადგმულს კონფერენციის მიერ, და სთხოვს ვისაც ჯერ არს მიიღოს შესაფერი ზომები ამ დადგენილებების განსახორციელებლად და ნუ დასტოვებს მათ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა."

კრების თავმჯდომარე: **ი. მელქაძე**

მდივანი: **მასწ. დ. ჭარხალაშვილი.**

სად. ფოთი. 19 მარტს, რაიონული გამგეობის ხელმძღვანელობით, აქ მოხდა რკინის გზის სკოლის დარბაზში ქალთა საზოგადოების კრება, რომელსაც მიზნათ ჰქონდა ქალთა წრის დაარსება და მისი პრეზიდიუმის არჩევა.

წრეში ჩაეწერა 76 ქალი. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნა არჩეული ქ-ნი თამარა ეკუასი და მდივნათ ქ-ნი შონთასი. რაიონული გამგეობის წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება თანამედროვე მომენტზე და აღნიშნა ქალთა როლი და მათი მოვალეობა დღევანდელ მომენტში. მოხსენების შემდეგ, კრებამ უბრალო ხმის მიცემით აირჩია პრეზიდიუმში ქ-ნი ზამბახიძისა, ნაჭყებიასი, სარტანიასი, კოდუა და კუჭაიძე, სარევიზიო კომისიაში ქ-ნი ეკუასი, შონიასი და ოსაძესი, თვით პრეზიდიუმმა აირჩია თავმჯდომარეთ ქ-ნი ზამბახიძისა.

იმედია ქალთა საზოგადოება შეიგნებს დღევანდელი მომენტის მოთხოვნილებას, მოიგონებს თავის წარსულ მონურ ცხოვრებას და უკეთესი მომავლისათვის ორგანიზაციულათ შეკავშირებული ქალთა საზოგადოება გამოვა ფართე საზოგადო ასპარეზზე ქალთა ინტერესების დასაცველათ და კულტურულად მისი ასამაღლებლად. ჩვენც ესურვოთ აქ ახლად დაარსებულს ქალთა წრეს და მის ხელმძღვანელებს ნაყოფიერი მუშაობა ამ საზოგადოების საკეთილდღეოთ.

საჭიროა ჩვენის აზრით ასეთი ქალთა წრე ყველგან იქნეს მოწყობილი ყოველ დიდ სადგურებში ადგილობრივი გამგეობის ხელმძღვანელობით.

ერ. ცხადაია.

კონფერენცია რკინის გზის კავშირების წარმომადგენლებისა

5—6 მარტის სხდომა

(დასასრული)

კოლექტიური ხელშეკრულება

კოლექტიური ხელშეკრულების შემუშავება და შედგენა მინდობილი ქონდა იურისტს დემიდოვს და ალ. ცისკარიძეს ცენტრალურ გამგეობის წევრთებან ერთად.

დემიდოვი. კოლექტიური ხელშეკრულება ჩვენ ცხოვრებაში ახალი საქმეა. ხელშეკრულების შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით, ერთის მხრით არსებულ გამოცემულ სახელმწიფოებრივ კანონებით, და მეორე მხრით იმ ხელშეკრულებით რომელიც დადებული აქვთ სხვა წარმოებაში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს თავიანთ დამქირავებელთან, და იმ წესდებით, რომელიც მიღებულ იქნა უკანასკნელ რკინის გზის ყრილობაზე. ჩვენ ვცდილობდით ხელშეკრულება შეგვედგინა ისე, რომ იქ დაცული ყოფილიყო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები. ამას კი ბევრი შრომა და დრო დასჭირდა. ხელშეკრულება შესდგება 130 მუხლისაგან და იქ თითქმის ყველა დეტალებია შეტანილი. კოლექტიური ხელშეკრულების უმთავრესი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაცია პირობას კრავს არა კერძო პირთან, არამედ კავშირთან, კოლექტივთან. ხელშეკრულება განიყოფება რამოდენიმე ნაწილებათ, რომლებიც აღნიშნულია ძირითად დებულებებში.

კრება უდგება ხელშეკრულების მუხლობრივ განხილვას, რომელიც გაგრძელდა ორი დღე. უმთავრეს კამათს იწვევს მუშა მოსამსახურეების მიღება-დათხოვის და 8 საათის სამუშაო დღის საკითხები. პირველ საკითხის გარჩევის დროს კრებაზე თავი იჩინა სამმა მიმდინარეობამ. ერთნი მოითხოვდენ, რომ მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვა დაბალ ადმინისტრატორებამდი ყოფილიყო სრულიათ კავშირის ხელში, მეორე მიმდინარეობას დაუშვებლათ მიაჩნია კავშირის წევრებისათვის მიღება-დათხოვის საქმეში სხვა და სხვა წესების შემოღება. მათი აზრით მუშა-მოსამსახურეების და დაბალი ადმინისტრატორების მიღება-დათხოვა უნდა ხდებოდეს ერთი წესით, ერთი კანონით. ისინი წინააღმდეგნი არიან დარგში არსებულ კომისიების და მოითხოვენ, რომ კავშირის წევრების მიღება-დათხოვა ხთებოდეს არა დარგში არსებული კომისიების საშვალებით, არამედ კავშირის. მესამე მიმდინარეობასაც საჭიროთ მიაჩნია არსებობდეს ერთი წესი კავშირის წევრების მიღება დათხოვის საქმეში, მხოლოდ ისინი მომხრე არიან დარგში არსებულ კომისიების საშვალებით ხთებოდეს ეს მიღება-დათხოვა. კონფერენციამ მიიღო უკანასკნელი წინადადება.

8 საათის სამუშაო დღე დიდ კამათს იწვევს აგრეთვე 8 საათის სამუშაო დღის საკითხი. ზოგიერთ ამხანაგებს არ აკმაყოფილებთ გზის უფროსის მიერ გამოცემული ბრძანება 8 საათის შემოღების შესაღებ, და ამიტომ მოითხოვენ მის ხელახლათ გადასინჯვას, უარყოფას და რკინის გზის ყველა დარგში სრულიათ 8 საათის და ზოგან 6 საათის სამუშაო დღის შემოღებას. კონფერენციის წევრების უმრავლესობა პრინციპიალურად წინააღმდეგნი არ არიან 8 საათის სამუშაო დღის შემოღების, მარა დღევანდელ პირობებში, მაშინ როდესაც მთელი სახელმწიფო საშინელ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს განიცდის, როდესაც რკინის გზაზე შრომის ნაყოფიერება დაცემულია, და ის ყოველ თვიურათ მილიონობით დეფიციტს აძლევს ჩვენს ისედაც გაღარიბებულ სახელმწიფოს, აი ამ დროს ყველა დარგში 8 საათის შემოღება შეუძლებლათ მიაჩნიათ. ამ საკითხის საბოლავოდ გადასაწყვეტათ მოწვეულ იქნა შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე, რომელმაც კონფერენციას დაუხატა დღევანდელი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის უნუგეშობა, აღნიშნა მუშათა კლასის პოლიტიკა დღევანდელ პირობებში, რომელიც უნდა ემყარებოდეს არა მარტო სურვილებს, არამედ შესაძლებლობასაც და წინადადება მისცა კრებას დროებით შერიგებოდენ იმ სამუშაო პირობებს, რომელიც შემუშავებული იყო კომისიის მიერ, და დამტკიცებული შრომის სამინისტროსაგან. (რკინის გზაზე შრომის პირობების შესახებ ცალკე ბრძანებაა გამოცემული გზის უფროსის მიერ, რომელიც დაურიგდება ყველა რაიონებს სახელმძღვანელოთ). კონფერენციამ განიხილა გზის უფროსის მიერ გამოცემული და შრომის სამინისტროსაგან დამტკიცებული შრომის კანონები და მიიღო ის მხოლოდ ერთი შესწორებით, კონფერენციის დადგენილებით ღამის მუშაობა უნდა განისაზღვრებოდეს 6 საათის მუშაობით. ცენტრალური გამგეობის სახელით ცენტერაძე თხოულობს არჩეულ იქნას კომისია, რომელიც გზის სამართველოსთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებამდე ეცდება შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით შესაფერისი ცვლილების შეტანას ამ გამოცემულ შრომის კანონებში. კონფერენცია ღებულობს ამ წინადადებას. დასახელებულ იქნა კომისიაში: არველაძე, კოპალეიშვილი, მეიფარიანი, ქათამაძე და ჯინჭარაძე. დასახელებულმა კანდიდატებმა გარდა ამხ. ჯინჭარიძისა ყველამ უარი განაცხადი კომისიაში მუშაობაზე, რის გამოთაც კომისია აღარ იქნა არჩეული.

კომისიების მოხსენებები

კონფერენცია ისმენს კომისიების მოხსენებებს. ბინების შესახებ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. უგლავა, რომლის შეხედულება გაზიარებულ იქნა კრებისაგან კოლექტიური ხელშეკრულებაში შესატანათ.

საავადმყოფოს შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ცხადაია, რის შემდეგაც კრება ღებულობს შემდეგ დადგენილებას.

1) ეპიდემიის დროს გადიდებულ იქმნას საექიმო-სასანიტარო მოსამსახურეთა შტატი. 2) გაუმჯობესებულ იქნას ექიმების ნივთიერი მდგომარეობა 3) გაწმენდილ იქმნას მოსამსახურეთა შტატი და დათხოვნილ იქნან სამსახურიდან ყველა არა სასურველი ელემენტები, 4) საჩქაროთ გამორკვეულ იქმნას ინტრიგა, რომლის გარშემოდაც ღღეს ბრძოლა სწარმოებს საავადმყოფოში, და დამნაშავენი გაძევებულ იქმნან სამსახურიდან. კონფერენცია ირჩევს სამი პირისაგან შემდგარ კომისიას ვ. ცენტერაძეს, ლუკაშევიჩს და სულაქვილიძეს, რომელთაც ევალებათ საავადმყოფოში ინტრიგანების წინააღმდეგ შესაფერისი ზომების მიღება. ბევრი წვრილმალი საკითხების შემდეგ თავმჯდომარე მიმართავს რაიონული კავშირების წარმომადგენელთ, და უსურვებს მათ ადგილობრივად ნაყოფიერ და ენერგიულ მუშაობას. ყველა საკითხების ამოწურის შემდეგ კონფერენცია იხურება.

სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

საქ. დემოკრატიულ რესპ. სახაზინო რკინის გზებზედ მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების რაიონულ და სექციების გამგეობებს.

განყოფილება 1.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპ. სახაზინო რკინის გზა იყოფა 9 რაიონად: ფოთი, სამტრედია, ქუთაისი, შორაპანი, ხაშური, თბილისის მთავარი სახელოსნო და დეპო, თბილისის სადგური, სამმართველო და ნავთლული.

2. რაიონები ნაწილდებიან სექციებათ.

3. ცენტრალურ გამგეობას უფლება აქვს დარგში სხვა სექციების მოწყობისა და გადაჯგუფებისა საჭიროების დროს, აგრეთვე სექციებსაც აქვთ უფლება შეუერთენ იმავე დარგში მეორე სექციებში მყოფ მუშა-მოსამსახურეებს ცენტრალურ გამგეობის ნებართვით.

განყოფილება 2.

პროფესიონალ. სექციების გამგეობა.

1. სექციები ირჩევენ თავის გამგეობებს.

2. გამგეობაში შედიან წევრებათ არა უმეტეს 7 და არა ნაკლებ 5-სა.

3. სექციის 200-ზე ნაკლები გამგეობაში ირჩევს 5 წევრს, 200 მეტი 7-დს.

4. გამგეობის წევრები თავიანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს.

5. გამგეობის სხდომები იმართება კვირაში არა ნაკლებ ერთისა.

6. ყოველივე საკითხები გამგეობაში წყდება უბრალო ხმის უმეტესობით.

7. სექციის წარმომადგენლები შედიან რაიონულ გამგეობაში წევრთა რიცხვის მიხედვით, მარა ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ერთისა.

8. სექციის გამგეობებს ეხება მხოლოდ თავიანთი სექციის წევრების საქმეები, რომლებიც შედიან აღნიშნულ რაიონებში.

9. სექციის გამგეობები არჩევენ თავიანთ წევრების საქმეებს: საჩივრებს, თხოვნებს, განცხადებებს და სხვა ამ გვარ საკითხებს, ახდენენ კანონიერ რეგისტრაციას საქმეებისას და თავიანთი დადგენილებით გზავნიან რაიონულ გამგეობაში.

10. სექციის გამგეობებს, არც მის წევრებს უფლება არ აქვთ მიმართონ კავშირის სახელით ადმინისტრაციას ან რომელიმე დაწესებულებას რაიონულ გამგეობის დაუკითხავად.

11. სექციის გამგეობების დადგენილება არ შეიძლება სისრულეში მოყვანილ იქნას რაიონულ გამგეობის დასტურის მიუცემლად.

შენიშვნა 1. სექციის გამგეობებს ზოგიერთა შინაური საკითხების გადაჭრა და სისრულეში მოყვანა შეუძლიათ რაიონულ გამგეობის დაუკითხავად.

შენიშვნა 2. სექციის გამგეობები ვალდებული არიან ასეთი საკითხების შესახებ აცნობონ რაიონულ გამგეობებს.

12. სექციის გამგეობები ასრულებენ ცენტრალურ და რაიონულ გამგეობების ყოველგვარ დადგენილებას.

13. სექციის გამგეობები მოვალენი არიან დაიცვან რკინის გზაზე შრომის უფლებები და ის მოთხოვნილებები, რომელიც კოლექტიურ ხელშეკრულებაში იქნებიან აღნიშნულნი.

14. სექციის გამგეობების წევრები ვალდებულნი არიან სასტიკი თვალყური ადევნონ თავიანთი წევრების მოქმედებას, რომ მათში არ იქნას ქურდობა მექრთამეობა, სპეკულიაცია ცუღლუტობა, ცილისწამება და სხვა. რომელიმე წევრების უმზგავსი მოქმედების შესახებ დაუყონებლივ გამოაქვთ შესაფერი დადგენილებები რაიონულ გამგეობებში გადასაცემათ და ღირსეული სასჯელის გამოსატანად; აგრეთვე ადევნებენ თვალყურს ადმინისტრაციის მოვალეობის შესრულებასაც და უკანონო მოქმედების შემჩნევისთანავე თავის დადგენილებით გზავნიან რაიონულ გამგეობაში.

15. სექციის გამგეობები არ ერევიან რკინის გზის არც ტეხნიკურ და არც ადმინისტრატიულ ფუნქციებში.

16. რაიონულ გამგეობების ნება დაურთველად სექციების გამგეობებს უფლება არა აქვს კავშირის სახით შეასრულონ ადმინისტრაციის მოთხოვნილებანი.

17. სექციის გამგეობები მოვალენი არიან იზრუნონ თავიანთ წევრების კულტურულ და გონებრივ განვითარებაზე: ავრცელებენ წიგნებს, გაზეთებს, მართავენ ლექციებს, წარმოდგენებს და სხვა.

18. სექციის გამგეობები ირჩევენ საამხანაგო სასამართლოებს თავიანთ წევრებ შორის უთანხმოებათა გამოსარკვევათ და უკმაყოფილებათა მოსაგვარებლად.

19. სექციის გამგეობები რაიონულ გამგეობისაგან ღებულობენ განსაზღვრულ თანხას თავისი საქმეების საწარმოებლად.

შენიშვნა. აგრეთვე სექციებსაც აქვთ უფლება იქონიონ თავისი განსაკუთრებული თანხა თავისი წევრებ შორის მოგროვილი ერთდროული ან წარმოდგენებიდან შემოსული ფულით შინაური საქმეებისათვის, მაგალითად თავისი წევრების ნივთიერი დახმარებისათვის და სხვა.

განყოფილება 3.

კავშირის რაიონული გამგეობა.

1. თითოეულ რაიონებში დგება რაიონული გამგეობები.

2. გამგეობას ირჩევს აღნიშნულ რაიონში შეერთებული კრება სექციების გამგეობებისა.

შენიშვნა. იგივე კრება საზღვრავს რაიონის გამგეობის წევრთა რაოდენობას.

3. გამგეობა ირჩევს პრეზიდიუმს, რომლის რიცხვსაც საზღვრავს თვით გამგეობა, მათ შორის თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს, აგრეთვე ირჩევს სხვა და სხვა კომისიებს საორგანიზაციოს, საგამომძიებლოს, საამხანაგოს, შრომის, კულტურულს და სხვას.

4. სარევიზიო კომისიას ირჩევს სექციის გამგეობების შეერთებული კრება, რომლის რიცხვსაც საზღვრავს თვით კრება

5. გამგეობების სხდომები იმართება თანახმად წესდების მე-27 მუხლისა.

6. ყველა საკითხები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით.

7. გამგეობა ხელმძღვანელობს თავისი რაიონში პროფესიონალური სექციების გამგეობათა საქმეებს და საჭირო დროს აძლევს მათ სახელმძღვანელო დარიგებასაც.

8. გამგეობა არჩევს სექციების გამგეობათა ყველა საქმეებს, საჩივრებს, თხოვნებს, განცხადებებს, ახდენს კანონიერ რეგისტრაციას საქმეებისას და თავისი დადგენილებებით საჭიროების დროს გზავნის ცენტრალურ გამგეობაში.

9. რაიონულ გამგეობას უფლება არა აქვს მთელი კავშირის სახელით მიმართოს ადმინისტრაციას ან რომელიმე დაწესებულებას ცენტრალურ გამგეობის ნებადაურთველად.

შენიშვნა. რაიონულ გამგეობებს თავის რაიონში ზოგიერთ საკითხების მოსაგვარებლად უფლება აქვთ მიმართონ აღნიშნულ როგორც ადმინისტრაციას, ისე სხვა რომელიმე დაწესებულებას მხოლოდ რაიონის სახელით.

10. გამგეობას სისრულეში მოჰყავს ცენტრალური გამგეობის დადგენილებანი.

11. გამგეობის წევრები არ ერევიან არც ტეხნიკურ, არც ადმინისტრატიულ საქმეებში.

12. ადმინისტრაციის მოთხოვნილებანი კავშირის სახით ასრულებული უნდა იქმნას მხოლოდ ცენტრალურ გამგეობის ნებართვით.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა რომელიმე საქმის გადადებას შეუძლია ზიანი მიაყენოს როგორც რკინის გზის, ისე პროფესიონალური კავშირის ინტერესებს, საჩქარო და საჭირო საკითხების გამორკვევაში და მოგვარებაში რაიონულ გამგეობას უფლება ეძლევა ადგილობრივ ადმინისტრაციის მოთხოვნილებების შესრულებისა და მათთან შეთანხმებით მუშაობისა ცენტრალურ გამგეობის გარეშე.

13. გამგეობის წევრები ვალდებული არიან თავის რაიონებში თვალყური ადევნონ მუშა-მოსამსახურეების შრომის უფლების დაცვას და ეცადონ განახორციელონ ის მოთხოვნილებანი, რომელიც კოლექტიურ ხელშეკრულებაში იქნებიან აღნიშნულნი; აგრეთვე ვალდებულნი არიან ებრძოლონ ქურდობა-მექრთამეობას, სპეკულიაციას და სხვას, რომელიმე წევრის უმზგავსო მოქმედების შესახებ გამოაქვთ თავიანთი დადგენილებანი და საჭიროების დროს გზავნიან ცენტრალურ გამგეობაში.

14. რაიონული გამგეობები მოვალენი არიან იზრუნონ მათ რაიონში მყოფ მუშა-მოსამსახურეების კულტურულ-გონებრივ და კლასობრივ თვით შემეცნების განვითარებაზე; ამ მიზნით ავრცელებენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, მართავენ ლექცია-რეფერატებს და სხვა.

15. რაიონულ გამგეობის მოვალეობას შეადგენს თავის რაიონში თვალყური ადევნოს კიოსკებში მყოფ აგენტების მოქმედებებს, რომ თავის დროზე და შესაფერისად იქმნას შესრულებული ის პირობები, რომელიც ცენტრალურ-კულტურულ კომისიას დადებული აქვს აგენტებთან. აგრეთვე მოვალენი არიან თავისი პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ დააყენონ წიგნთ-საცავ-სამკითხველოების საქმეები და საზოგადოდ ეცადონ, რომ იქ ყოველი კულტურული საკითხები შესაფერისად იყოს გადაწყვეტილი და მოგვარებული.

16. რაიონული გამგეობები მოვალენი არიან ცენტრალურ გამგეობის ყოველგვარი გამოცემების ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გავრცელების საქმე დააყენონ კარგ ნიადაგზე და ეცადონ ეს კულტურული გამოცემანი მუშა-მოსამსახურეებში თავის დროზე და შესაფერისად იქმნას დარიგებული და განაწილებული.

17. რაიონული გამგეობები თავის საქმეების საწარმოებლად განსაზღვრულ თანხას ღებულობენ ცენტრალურ გამგეობისაგან, აგრეთვე რაიონებსაც შეუძლია სხვა-და-სხვა შემოსავლებიდან იქონიონ თავის საკუთარი თანხა წევრების ნივთიერად დასახმარებლად და სხვანი.

18. რაიონული გამგეობები ყოველ გვარ თავიანთ დადგენილებებს პრინციპიალურ საკითხების შესახებ გზავნიან ცენტრალურ გამგეობაში.

მოსამსახურეთა დანაწილება სექციებში — II

მოძრაობის დარგი

პირველ სექციაში შედიან: საქონლის სადგურის მუშები, ვაგონებზედ პლომბის დამდებლები, ვაგონების მიმღები და ტელეგრაფის მუშები.

მეორე სექციაში: ტელეგრაფის და სხვა დარგის დარაჯები, შვეიცრები ანუ მეკარეები, მელამპეები, დამტარებლები, მუდმივი და სათადარიგო მეისრეები, გადამბმელები, ორთქლმავალთა გამყოლნი, ნიშანის მიმცემნი და მატარებელთა უფროსი და უმცროსი შემადგენელნი.

მესამე სექციაში: მოძრაობის უფროსი და მისი თანაშემწეები, სათადარიგო აგენტები, საქმის და ანგარიშის მწარმოებლები, ტეხნიკურ და სამგზავრო განყოფილებათა გამგენი და მათი თანაშემწეები, მხაზველები, ვაგონების გამანაწილებლები, მოძრაობის და მატარებლების რევიზორები, სადგურის უფროსები და მათი თანაშემწეები, ტეხნიკური და კომერციული კანტორის მოხელეები, არტელჩიკები, კასირები, საქონლის საწყობთა ზედამხედველნი, სალაროს გამგენი (кладовщикъ), მწონავეები, საქონლის გადამცემი აგენტები (передаточные агенты), მატარებლის ამწერლები, საქონლის და ბარგის მომძებნი აგენტები და სადგურის ანგარიშების რევიზორ-ინსტრუქტორები.

მეოთხე სექციაში: ყველა კონდუქტორები.

ტელეგრაფის სამსახური

უფროსი და უმცროსი ტელეგრაფისტები, ტელეფონისტები, მაშინისტები, წერილების და დეპეშების გადამღებლები, ექსპედიტორები, ტელეგრაფის გამგენი და ზედამხედველები, კონტორის მოხელეები, ანგარიშის მწარმოებლები, მუდმივი კანდიდატები, პრაქტიკანტ-ტეხნიკოსები, კონტროლიორ-მეხანიკები, მხაზავები (чертежники) და უფროსი მეხანიკოსი შეადგენენ ერთ სექციას.

სამქიმო-სასანიტარო და სამოსწავლო ნაწილები

ხსენებულ დარგის ყველა მოსამსახურეები შედიან ერთ სექციაში.

შენიშვნა: აღნიშნულ დარგის მუშები და დარაჯები შედიან სალიანდაგო და შენობათა ნაწილის პირველს სექციაში.

მილიციონერები შეადგენენ ცალკე სექციებს რაიონებში.

სალიანდგო და შენობათა დარგი

პირველ სექციაში შედიან: გზის მუშები, მეეზოვეები, მეაბანოვები, ლიანდაგის, ხიდეების, გადასასვლელების, გვირაბების და საწყობების დარაჯები, უფროსი მუშები და არტელის სტაროსტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სექციაში: გზის, ხიდეების გვირაბების ოსტატები, შენობათა ზედამხედველები, მჭედლები, ზეინკლები, ხეროები, (плотникъ), დურგლები, წყლის გამყვანელნი, შემლესავები (штукатурка), ფეჩნიკები, მღებავები, მეჟესტეები, საქმის და ანგარიშის მწარმოებლები, სალაროს გამგენი, (кладовщикъ), კანტორის მოხელეები, ტეხნიკები, პრაქტიკანტები, ათის თავები, სალიანდაგო ნაწილის უფროსის თანაშემწეები, ჩაქუჩის დამრტყმელები, და კალატოზები.

შენიშვნა: ამავე სექციაში შედიან მოძრაობის და ტელეგრაფის სახელოსნოს ყველა ხელოსანი მუშები.

საძეკანიკო დარგი

პირველ სექციაში შედიან: უბრალო და ხელოსანი მუშები ყველა ცეხებისა, ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, მექვაბეები, დურგლები, ხეროები, მღებავები, მოდელჩიკები, ლითონის ჩამომსხმელები, მექვაბეები, მეჟესტეები, მჩარხველები, კროველჩიკები, მხერხავები, გამთლელები, გადამდუღელები, ელექტრო-ტეხნიკები და ზემოჩამოთვლილი პროფესიის თანაშემწეები და მოწაფეები, ობრუჩიკი, მხვრეტავი, მუდმივ მანქანაზე მომუშავენი ყველა დარგისა და მათი თანაშემწეები, კაჩეგრები, მეფეჩეები, დარაჯები, მატარებლების გამსინჯველები, მწმენდავები, მატარებლების გამყოლნი, მელამპეები, რეზერვაჩიკები და ორთქლმავალთა გამწმენდელები.

მეორე სექციაში: ორთქლმავალთა მემანქანეები და მათი თანაშემწეები, ორთლმავალთა კაჩეგრები დეპოსი, უბნის უფროსის თანაშემწეები, პატარა დეპოს უფროსები, დესიატნიკ-მანტიორები და უფროსი მემანქანეები.

მესამე სექციაში: წევის დარგის, სამასალო და ნავთსადენის ნაწილების ყველა კანტორის მოხელეები, ბუხგალტერები, ტაბელჩიკები, ზედამხედველები და მათი თანაშემწეები, ანგარიშის და საქმის მწარმოებლები და მათი თანაშემწეები.

შენიშვნა: სამასალო და ნავთსადენის ნაწილის ხელოსანი და უბრალო მუშები და. დარაჯები შედიან წევის დარგის პირველ სექციაში.

რკინის გზის ამბები

ვაგონების საწყობებათ გარდაქცევა. მოძრაობის უფროსი აბელაშვილი აცხადებს: დარჩენილი დატვირთული ვაგონები, განსაკუთრებით განმანაწილებელ სადგურებზე, ამ უკანასკნელ დროს ღებულობს არა ჩვეულებრივ სახეს. ვაძლევ წინადადებას დაუყოვნებლივ წარუდგინოთ ულტიმატუმი ყველა მიმღებს, იქნებიან ისინი კერძო პირები, თუ ან დაწესებულებები, 28 საათის განმავლობაში დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ვაგონები, წინააღმდეგ შემთხვევაში გადმოტვირთული იქნება საკუთარი საშუალებით და ხარჯები მიეწერება მიმღებლების ანგარიშს. ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას სად. თფილისის, ნავთლულის, ფოთის და ქუთაის უფროსებს, და პირადი პასუხის მგებლებით ვაძლევ წინადადებას დასცალონ ვაგონები არა უგვიანეს 28 საათისა. მოითხოვეთ ეს მეტი დაბეჯითებით და არავის არავითარი უპირატესობა არ მიეცეს; დროა ბოლო მოეღოს ისეთ უწესოებას, ვაგონების საწყობებათ გაკეთებას. სად. უფროსს ვაძლევ წინადადებას წარუდგინოს კატეგორიულ ულტიმატუმი ინგლისელების კომენდანტს, რომ დაუყოვნებლივ დასცალონ ვაგონები. შემდეგში არას გზით არ დაუშვათ ვაგონების გაჩერება 18 საათზე მეტი.

კურსები მოზრდილთათვის. სამოსწავლო კომიტეტმა დაადგინა გადაეცეს ბ. ბუაჩიძის განკარგულებაში 1 ოთახი ყვირილის რკინის გზის სასწავლებელში მოზრდილთათვის კურსების გასახსნელათ.

კულტურული საქმე. ცენტრალურმა გამგეობამ მიმართა თბილის ს ქალაქის თვითმმართველობას თხოვნით, რომ მას გადაეცეს ნაძალადევში ჩერქეზოვისა და ცეხის ქუჩების კუთხეში მდებარე ქალაქის მიწა ზომით 1540 ოთხკუთხი საჟენი სახალხო სახლის და სხვა კულტურულ დაწესებულებათა ასაგებათ. გამგეობა სთხოვს ქალაქს გადასცეს ეს მიწა მას იმ პირობებში, რა პირობებშიც ის ქონდა ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველ რკინის გზის საზოგადოებას.

ეპიდემიის გადასახადი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაწესდეს ერთდროული გადასახადი ეპიდემიასთან საბრძოლველ ხარჯების დასაფარავათ. გადაწყვეტილია, ვინც იღებს 601—900-მდე მანეთს თვეში, გადახდება $2^1/_2$%, 901—1200 მანეთამდე 3%, 1 01—1500 მან.—4%. ამაზე ზევით კი ყოველ 500 მანეთზე ემატება თითო პროცენტი.

რკინის გზის მოძრაობა ჯულფამდე. 15 მარტს ჯულფიდან სანაინში ჩამოვიდა სამგზავრო მატარებელი. ყოველ კვირა ჯულფიდან სანაინში ორჯერ ჩამოვა სამგზავრო მატარებელი. ბილეთები საქართველოდან სომხეთში მიმავალთ, და აგრეთვე სომხეთიდან თბილისში მომავალთ მიეცემათ ამ შემთხვევაში, თუ მათ ექმნებათ გაშვების ნებართვა.

ი. მ. მალანიას გადადგომა. გზათა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ი მ. მალანიამ შეიტანა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა მთავრობისაგან.

საქონელზე ფასების მომატება. რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა მოუმატოს ფასი საქონელის თვითღირებულებაზე ხარჯების დასაფარავად 10—25%.

შაქარი ბუფეტებისთვის. სასურსათო კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მიეცეს ყველა ბუფეტებს რკინის გზაზე შაქარი.

ვაჭრობის აკრძალვა სადგურებზე. სასტიკად აიკრძალა სადგურზე და სადგურის შენობებში ყიდვა გაყიდვა ყოველგვარი საჭმელებისა, ხილისა და სასმელებისა. ახლო-მახლო სოფლებს რომ მიეცეს საშუალება გაჰყიდონ სხვადა-სხვა საქონელი ადგილობრივი ნაწარმოებისა, მისთვის პლათფორმის ბოლოს გააკეთებენ განსაკუთრებულ ალაგს, რომლის გარეშე მათ არ მიეცემათ გადმოსვლის ნება.

უფასო ბილეთები. გზათა უფროსი ა/ ხადებს: ვთვლი აუცილებლად, როგორც სამსახურისთვის სასარგებლოდ, ისე საუკეთესო დასაკმაყოფილებლად მოსამსახურეების მოთხოვნილებისა. ეძლევა ნება მოძრაობის რეგიზორებს მისცეს ყველა მის ხელქვეით აგენტებს და იმათ ოჯახობას ერთდროული უფასო ბილეთები სამი დღის ვადით.

ბილეთების გამყიდავთა თვითნებობა. მოძრაობის უფროსი აცხადებს: მოუღეთ ბოლო უწესოებას, ბილეთეთების კასებთან, გიცხადებთ, რომ მცირეოდენ წესიერების გადახვევისთვის, დავითხოვთ სამსახურიდან როგორც ბილეთების კასირს, აგრეთვე სადგურის უფროსებს.

დღიური ხარჯების ნორმა. მთავრობის თავმჯდომარემ დაამტკიცა ამა პირველ მარტიდან შემდეგი დღიური ხარჯების ნორმა:

1—6 კატეგორიამდე უბნის გარეშე—8 მანეთი, თავის უბანში—5 მანეთი; 7—12 კატეგორიამდე უბნის გარეშე—12 მანეთი, თავის უბანში—6 მანეთი; 13—14 კატეგორიამდე უბნის გარეშე 15 მანეთი, თავის უბანში—7 და 50 კაპ.

კატეგორიის გარეშეთ დღიური ნორმა მიეცეთ 3 მარტის კანონის მიხედვით. თუ მოსამსახურე საქართველოს რესპუბლიკის გარეშე იგზავნება— ნორმა გადიდებულ იქნება 50% და თუ ამიერ კავკასიის გარეშე, მაშინ 100%.

კვირიდან კვირამდე

საქართველოში.

— ბათუმის მმართველ წრეებსა და მოხალისეთა ჯარის შორის მტკიცე კავშირის შესაქმნელად მასლოვი მიემგზავრება სამხრეთ რუსეთში, რომ მოელაპარაკოს მოხალისეთა სარდლობას.

— 18 მარტს ბაქოში ... ...